

ფსტა საქართველოში

პროფ. ავთანდილ კორახაშვილი

კაკლოვანი კულტურებიდან ფსტა (ლიტერატურაში გვხვდება სინონიმები- ბუსტული, ფისტა, ფისტიდი, ფუსტული) კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი კულტურაა. მას ამრავლებდნენ და აშენებდნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3 ათასი წლის წინ. ნაყოფი დიდი კვებითი ღირებულების და კაკლოვნებიდან ყველაზე ძვირადღირებული პროდუქტია. მისი ნაყოფი ბერძნული კაკლის ნიგოზთან შედარებით საერთაშორისო ბაზარზე ნაჭუჭთან ერთად დაახლოებით 4-ჯერ ძვირად იყიდება. არქეოლოგიური გათხრები ცხადყოფს, რომ ქვის ხანაში ფსტა კონტინენტის სამხრეთით ტყის ბუნებრივ კორომებში ფართოდ გავრცელებული ხე-მცენარე ყოფილა. წარსულში მისი ხეები ინტენსიურად იჩეხებოდა სათბობისათვის და ნახშირის წარმოებისათვის, რომელთა სიხშირე კორომებში ჰექტარზე საშუალოდ 60-70 სრული ასაკის ხეებს შეადგენდა.

არსებობს უამრავი მტკიცებულება იმისა რომ, წვრილნაყოფა და განსაკუთრებით მსხვილნაყოფა ფსტა (*Pistacia vera L.*) საქართველოში ფართოდ გავრცელებული ხე-მცენარე ყოფილა. ამას ადასტურებს ყოფილი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე ფსტის პლანტაციების დამადასტურებელი არქეოლოგიური გათხრები. ისტორიული ქარ-ცეცხლისა და კლიმატური პირობების კატაკლიზმების (ძირითადად ფარდობითი ტენიანობის შემცირების) შედეგად ეს ძვირფასი კულტურა თითქმის გაქრა საქართველოს ამჟამინდელ გეოგრაფიულ საზღვრებში და დაუმსახურებლად მიეცა დავიწყებას. ის დღეს შემორჩენილია საქართველოდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ტყის ბუნებრივ კორომებში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფსტის კულტივირება ამჟამად მის მწარმოებელ ქვეყნებში ვრცელდება ძირითადად 600-1700 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან აზერბაიჯანში, თურქეთში, ტაჯიკეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთში, ირანში, ტუნისში, იტალიაში და სხვა ქვეყნებში, ძირითადად ექსტენსიური სოფლის მეურნეობის ზონებში. ამ ქვეყნების ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, საქართველოში ფსტის წარმოებას უნიკალური შესაძლებლობები აქვს, რასაც ჩვენი ცალკეული მოყვარული მებაღეების გამოცდილებაც ცხადყოფს.

ფსტა 6-7 მეტრი სიმაღლის ხეა ფართო მრგვალი ფორმის კრონით. ახალგაზრდა ღეროები და ყლორტები გლუვია, მოწითალო-ყავისფერი. წინა წლის ღეროები დაფარულია ხაოიანი ნაცრისფერი ქერქით. ფართო ოვალური ან კვერცხისებრი ღია მწვანე ფერის ფოთლები განლაგებულია მჭიდროდ, რომლებიც ზემოთა მხრიდან პრიალა, ხოლო ქვემოთა მხრიდან გლუვი ზედაპირი აქვთ. როგორც მეტად ღამაზი ხემცინარე, მას დეკორატიულ (ორნამენტალურ) მებაღეობაშიც იყენებენ.

ამჟამად ფსტა ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით ხმელთაშუაზღვის აუზის და შუა აზიის სახელმწიფოებში, სადაც აქტიური ტემპერატურების ჯამში 3 200-3 500 გრადუსია, ხოლო ფიზიოლოგიურად აქტიური რადიაცია 18-24. ნაყოფების ნორმალური განვითარებისათვის ასევე აუცილებელია ხანგრძლივი ზაფხული.

ფსტა ორბინიანი მცენარეა და ბუნებრივ კორომებში მამრობითი მცენარეების რაოდენობა ჭარბობს (55-70%) მდედრობითს. ყვავილები შეკრებილია

საგველასებრ თანაყვავილედში. ყვავილობა იწყება მარტის ბოლოს - აპრილის დასაწყისში. მამრობითი მცენარეები უფრო ადრე იწყებენ ყვავილობას, ვიდრე მდედრობითები. ფოთლები მხოლოდ ყვავილობის შემდეგ იწყებენ განვითარებას.

ფსტის ნაყოფი კაკალია, თხელი ნაჭუჭით და მსხვილი ნაყოფით. ნაყოფი შედგება 2 მწვანე ფერის ლებანისაგან. ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბერში. ნაყოფი მდიდარია ცხიმებით (40-70%), ცილებით (15-20%) და ნახშირწყლებით (13%). ნაყოფიდან შესაძლებელია ზეთის მიღებაც. ნიგოზი გამოიყენება დაუმუშავებლად სასურსათოდ და საკონდიტრო მრეწველობაში, აგრეთვე მედიცინაში. მისგან ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ამზადებდნენ სხვადასხვა სახის მაღამოებს, იყენებდნენ პარფიუმერიაში.

ზრდასრული ხეები მოსავალს იძლევიან ყოველწლიურად. ბუნებრივი კორომებიდან მიღებული მოსავალი მეტად დაბალია და 1-2 კგ-ს არ აღემატება, ხოლო კულტურული ფსტის ხეებიდან, რომელთა ასაკი 60-80 წელია, მოსავლიანობა 30-35 კგ-მდე აღწევს. ფსტის ხე მოსავალს იძლევა 300 წლის განმავლობაში. შუააზიური ფსტის ნაყოფი უფრო მეტი ცხიმების შემცველია, ვიდრე ირანული, იტალიური და ტუნისის ჯიშ-პოპულაციები. ფსტის ფოთლები, ღეროები, ქერქი და ნაყოფისირველივ ზონები შეიცავს მნიშვნელოვანი რაოდენობით ტანინებს და ამიტომ ეს ნაწილები გამოიყენებიან ძალიან მაღალი ხარისხის საღებავების წარმოებაში. ფსტის ფისიც ასევე გამოიყენება მეტად ძვირადღირებული საღებავებისათვის. ფსტის გალებში (აღმოსავლეთში მას “ბუზუნჩი” ქვია), რომლებიც ფოთლების ზოგიერთი სახეობის ტილებით დაზიანების შედეგად წარმოიქმნება, ტანინის შემცველობა 50%-ს აღწევს და მეტად ძვირფას ნედლეულს წარმოადგენს ფერწერის საღებავების წარმოებისათვის.

ფსტა მეტად გვალვაგამძლე მცენარეა და მთისწინა ზონაში ტენით ნაკლებად უზრუნველყოფილ ზონებში მშრალი ჰაერისა და მაღალი ტემპერატურის (+50 °C) პირობებშიც კარგად ხარობს და მოსავალსაც კარგს იძლევა. ფსტის გასაშენებლად შერჩეული უნდა იქნას ჰაერისა და წყლის კარგად გამტარი ნიადაგები. ყველა ზემოაღნიშნულის გამო საქართველოში ამ კულტურას უზარმაზარი პერსპექტივები აქვს, ვინაიდან სწორედ ასეთ ზონებში და პირობებში ჩვენს ქვეყანას აქვს უზარმაზარი აუთვისებელი მიწის რესურსები 600-1700 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს კულტურა ამავე დროს მეტად ყინვაგამძლეც არის და -41 °C უძლებს. მთიანი ზონებისათვის ეს კულტურა კიდევ ერთი დადებითი თვისებით ხასიათდება - ფსტის ხეები ყველა მიმართულებით ინვითარებენ ძლიერ ფესვთა სისტემას, რითაც კარგად იცავენ მთის დამრეც ფერდობებს ეროზიისაგან.

საქართველოში ამ კულტურის რესტავრაციით და დიდ ფართობებზე გაშენებით ჩვენს ქვეყანას შეუძლია მთლიანად დააკმაყოფილოს მასზე ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილება და შემდგომში ექსპორტის საგანიც გახდეს. პირველ რიგში გულდასმით უნდა იქნას შერჩეული პერსპექტიული ჯიშები და მისი გაშენებისათვის ვარგისი ნიადაგები, აგრეთვე კლიმატური პირობები, პარალელურად უნდა ვიზრუნოთ ადაპტირებული ნამყენი ნერგების წარმოებაზეც. ამისათვის კი საჭიროა ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში (აზერბაიჯანი, თურქეთი, უზბეკეთი და სხვ.) პერსპექტიული ჯიშების შერჩევა და ფერმერულ მეურნეობებში საღებავების შექმნა, სადაც წარმოებული იქნება ჯანსაღი და მაღალხარისხიანი ფსტის ნერგები.

